*პროექტი*

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
**დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა**

**„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის,მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად „რაიონული(საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის,მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 16 ივნისის №3 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 18/06/2020, სარეგისტრაციო კოდი: 010210060.74.086.016003) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. თბილისის საქალაქო სასამართლოს შემადგენლობა განისაზღვროს - 159 მოსამართლით

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სპეციალიზებულ სასამართლო კოლეგიებში მოსამართლეთა რაოდენობა განისაზღვროს:

ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში - 63 მოსამართლით

ბ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში - 39 მოსამართლით

გ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში - 36 მოსამართლით

დ) საგამოძიებო და წინასასამართლო სხდომის კოლეგიაში - 21 მოსამართლით."

**მუხლი 2.**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი